

FINCA Network Support B.V. საქართველოს ფილიალი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარებში)

	შენიშვნა	31-Dec-17	31-Dec-18	31-Dec-19
ნაღდი ფული	6	369,716	593,332	50,958
წინასწარ გადახდილი ავანსი		103	1,878	36,175
დებიტორული დავალიანება	5	254,347	313,815	1,342,721
ძირითადი საშუალებები:	2	54,503	71,004	102,797
აქტივების ღირებულება		143,977	196,379	268,667
დაგროვილი ცვეთა		(89,474)	(125,374)	(165,870)
არამატერიალური აქტივები	2	253	2,214	2,842
აქტივების ღირებულება		18,895	21,109	23,950
დაგროვილი ამორტიზაცია		(18,642)	(18,895)	(21,109)
საგადასახადო აქტივი	3	80,181	71,385	59,240
მთლიანი აქტივები		759,102	1,053,627	1,594,732
კრედიტორული დავალიანება	7	50,269	49,894	102,086
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		168	605	1,027
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება		342		
მთლიანი ვალდებულებები		50,779	50,500	103,113
გაუნაწილებელი მოგება		525,029	708,324	1,003,127
მიმდინარე წლის მოგება		183,295	294,804	488,491
მთლიანი კაპიტალი		708,324	1,003,127	1,491,619
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		759,102	1,053,627	1,594,732

მთავარი ბუღალტერი

/ გიორგი სამველიძე /

გ. სამველიძე

მოგება ზარალის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარებში)

	შენიშვნა	2018	2019
მთლიანი შემოსავლები	3	4,010,252	6,137,184
სახელფასო ხარჯები		2,371,760	3,663,225
პენისა			52,280
სარგებელი (დაზღვევა		107,687	180,138
ტრანსპორტირების ხარჯები		6,591	6,129
მივლინების ხარჯები		305,573	423,260
IT და სხვა მომსახურების ხარჯები		695,864	999,134
ოფისის იჯარა		112,764	158,395
კომუნალური გადასახადები		6,620	9,133
საოფისე ხარჯები		7,687	25,619
ტრეინინგის ხარჯები		6,335	28,036
ოფისის რემონტის ხარჯები		2,396	
მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები		2,567	3,192
ცვეთა და ამორტიზაცია		36,154	43,086
ინტერნეტის და კომუნიკაციის ხარჯები		5,902	7,667
ახალი თანამშრომლის აყვანის ხარჯები		12,015	57,586
ქონების გადასახადი		-	618
საკანცელარიო ხარჯები		5,359	4,277
საკონფერენციო და საორგანიზაციო ხარჯები		37,506	12,957
საბანკო ხარჯები		4,938	5,576
სხვა ხარჯი		199	
მთლიანი საოპერაციო ხარჯები		3,727,914	5,680,309
საოპერაციო მოგება		282,338	456,875
მოგების გადასახადი	4	5,481	3,786
წმინდა საოპერაციო მოგება		276,857	453,089
არა საოპერაციო ხარჯები/შემოსავლები	8	17,946	35,402
არარეალიზებული ხარჯი/შემოსავალი		19,424	43,747
რეალიზებული ხარჯი/შემოსავალი		(1,478)	(8,344)
წმინდა მოგება (ზარალი)		294,804	488,491

მთავარი ბუღალტერი

/ გიორგი სამველიძე /

გ. სამველიძე

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარებში)

	შენიშვნა	2018	2019
წმინდა მოგება		282,338	456,875
ცვეთა და ამორტიზაცია		36,154	42,709
მოგების გადასახადი		(5,481)	(3,786)
დებიტორული დავალიანების ცვლილება		(59,468)	(1,028,906)
კრედიტორული დავალიანების ცვლილება		(279)	52,614
ცვლილება სხვა აქტივში		7,021	(22,152)
ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან		260,285	(502,646)
ძირითადი საშუალებების შეძენა		(54,615)	(75,130)
არა საოპერაციო ხარჯები/შემოსავლები		17,946	35,402
წმინდა ფულის მოძრაობა		223,616	(542,373)
ფული პერიოდის დასაწყისში		369,716	593,332
ფული პერიოდის ბოლოს	6	593,332	50,958
-	-	-	0.00

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარებში)

	შენიშვნა	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი 2018		708,324	708,324
სულ 2018 წლის მოგება/ზარალი		294,804	294,804
განაწილებული დივიდენდი 2018		-	-
31 დეკემბერი 2018		1,003,127	1,003,127
სულ 2019 წლის მოგება/ზარალი		488,491	488,491
განაწილებული დივიდენდი 2019		-	-
31 დეკემბერი 2019		1,491,619	1,491,619

მთავარი ბუღალტერი
/ გიორგი სამველიძე /

გ. სამველიძე

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისთვის

1. ორგანიზაცია

FINCA Network Support B.V. საქართველოს ფილიალი დაფუძნდა 2013 წლის 14 იანვარს საინფორმაციო-ტექნოლოგიურ მომსახურების გაწევის მიზნით, როგორცაა მომსახურების ბაზების მხარდაჭერა, ვიდეო კონფერენციების მოწყობა, ძირითადი საბანკო და საფინანსო პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდება FINCA International Inc -ის შვილობილი კომპანიებისთვის, კომპანიამ საქმიანობა დაიწყო 2013 წლის 1 აპრილიდან. თავის მხრივ დედა კომპანია FINCA Network support B.V. დაფუძნებულია ნიდერლანდებში 2012 წლის 16 ნოემბერს კომპანიის 100% იანი წილის მფლობელი არის FINCA Microfinance Cooperative U.A. კოოპერატივი რომლის წევრები არიან:

- FINCA Microfinance Holding Company LLC, რომლის მისამართია 2711 Centerville Road, Suite 400, Wilmington, Delaware 19808, United States of America აღნიშნული ორგანიზაცია ფლობს 99 ხმის უფლებას
- FINCA International LLC რომლის მისამართია 11 East Chase Street, Baltimore, Maryland 21202, United States of America. აღნიშნული ორგანიზაცია ფლობს 1 ხმის უფლებას

FINCA MICROFINANCE HOLDING COMPANY LLC აქციონერები არიან:

დასახელება	წილი
FINCA International, Inc.	60.3%
International Finance Corporation (IFC)	15.0%
KfW	9.6%
FMO (Nederlandse Financierings Maatschappij voor Ontwikkelingslanden N.V)	7.9%
Credit Suisse Microfinance Fund Management Company, acting for responsAbility Global Microfinance Fund	3.2%
Triodos Investment Management	2.2%
Triple Jump, acting for ASN-NOVIB FONDS	1.8%

კომპანია FINCA Network Support B.V. საქართველოს ფილიალის იურიდიული მისამართი არის თბილისი, საირმის გორა # 71. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულია 36 თანამშრომელი.

2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები

ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი - ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მომზადების საფუძველი - ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

შემოსავლის აღიარება - შემოსავალი აღიარდება კომპანიის მიერ მომსახურების გაწევის შესაბამის საბუღალტრო პერიოდში ყოველთვიურად დარიცხვის პრინციპით.

იჯარა - საოპერაციო იჯარის გადახდები აღიარდება ხარჯად მათი გაწევის პერიოდის მიხედვით

უცხოური ვალუტა - კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ფუნქციონირებადი ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში (უცხოურ ვალუტაში) განხორციელებული გარიგებები აისახება გარიგების თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსით. თითოეულ საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ერთეულები ამ პერიოდისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით ექვემდებარება გადაფასებას. ფულად ერთეულებზე წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები მოგება-ზარალში აღიარდება მათი წარმოქმნის პერიოდში.

ფუნქციონალური ვალუტა - ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი ერთეულები გაზომილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ეკონომიკურ გარემოს ძირითად ვალუტას

ანგარიშგების წარდგენის ვალუტა - კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს როგორც ქართულ ლარში

ძირითადი საშუალებები - ძირითადი საშუალებები აღიარდება ისტორიული ღირებულებით რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების აღიარებული დანაკარგი. კომპანია ცვეთას არიცხავს წრფივი მეთოდით, ძირითად საშუალებებზე მომსახურების სავარაუდო ვადებია:

- კომპიუტერები და საკომუნიკაციო მოწყობილობები - 3 წელი
- ავეჯი და საოფისე ინვენტარი - 5 წელი
- სხვა - 5 წელი

ძირითადი საშუალებების გასხვისების ან ჩამოწერისას წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა რეალიზაციით მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივები - ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები განსაზღვრული ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი სავარაუდო სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში.

საგადასახადო აქტივი - საგადასახადო აქტივი მოიცავს კომპანიის არსებობის განმავლობაში დაგროვილ დღგ-ს ჩასათვლელ თანხებს, რომელსაც კომპანია იყენებს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები დასაფარად.

3. შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი განისაზღვრება გაწეული მომსახურებიდან, რომელიც გამოითვლება გაწეულ დანახარჯს დამატებული 7% იანი მოგების განაკვეთი. შემოსავლის გაანგარიშებაში მონაწილეობას იღებს ყველა პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯი რომელიც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან. საოპერაციო ხარჯებში არ შედის საპროცენტო ხარჯი, მოგების გადასახადი და არარეალიზებული ხარჯები რომელიც დაკავშირებულია უცხოური ვალუტით გამოსახულ აქტივების და ვალდებულებების გადაფასებასთან.

4. მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის დარიცხვას. ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება წარმოიშვება იმ შემთხვევაში როდესაც ხდება კომპანიიდან დაგროვილი მოგების განაწილება დივიდენდად. გარდა დივიდენდის გაცემისა კომპანია ვალდებულია გადაიხადოს მოგების გადასახადი იმ ოპერაციებზე რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან.

კომპანიას არ გაუნაწილებია დივიდენდი მაგრამ ქონდა ისეთი არაეკონომიკური ხარჯები რომელიც იყო მოგების გადასახადის დასაბეგრი. მოგება/ზარალში ასახული მოგების გადასახადი წარმოადგენს იმ თანხას რომელიც დაკავშირებული იყო კომპანიის მიეს გაწეულ არაეკონომიკურ ხარჯებთან.

5. სავაჭრო დებიტორული დავალიანება

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები შედგება: დედა კომპანიის და ფინკა ბანკი საქართველოს მიმართ არსებული დებიტორული დავალიანებისგან რომელთა დაფარვის საშუალო ვადა მერყეობს 1-3 თვემდე პერიოდზე.

6. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება მხოლოდ საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრებისგან. კომპანიას გახსნილი აქვს მულტისაგვალუტო ანგარიშები სს „საქართველოს ბანკში“ და სს ფინკა ბანკ საქართველოში. კომპანია არ იყენებს ნაღდ ფულს და ლასაროს საქვეანგარიშო თანხების გაცემა ხდება მხოლოდ ბიზნეს ან პირად ბარათზე თანხის გადარიცხვით.

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს ყოველთვიურად მომწოდებლებისგან წარმოქმნილ კრედიტორულ დავალიანებებს. კომპანიის კრედიტორული დავალიანება არ ცდება ერთ თვიან პერიოდს უმეტეს შემთხვევაში ყველა დავალიანების გადახდა ხდება მომდევნო თვის 15 რიცხვამდე

8. საბაზრო რისკი

სავალუტო რისკი - კომპანიაზე ძირითადად მოქმედებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ფინანსური რისკი. სავალუტო რისკი იმ რისკს რომელიც კომპანიის შედეგებზე უარყოფითად მოქმედებს, კომპანია არ იყენებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნების და კრედიტორული დავალიანების ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია დოლარში, სწორედ მათი გადაფასების შედეგად იქმნება ის არარეალიზებული შემოსავალი ან ხარჯი რომელიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი - საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოადგენს, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენას კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანიაზე საპროცენტო განაკვეთის რისკი არ მოქმედებს რადგან მას არ გააჩნია საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები.

ლიკვიდობის რისკი - პასუხისმგებლობა ლიკვიდობის რისკის მართვაზე ეკისრება კომპანიის ხელმძღვანელობას. იგი ეხება კომპანიის მოკლე საშუალო და გრძელვადიან დაფინანსებას და ლიკვიდობის მართვის მოთხოვნებს. კომპანია ლიკვიდობის რისკს მართავს საპროგნოზო და რეალური ფულადი სახსრების მუდმივი მონიტორინგის გზით, ასევე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის შესაბამისობაში მოყვანით.

9. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, პარტნიორებსა და ერთობლივ ხელმძღვანელობასა და კონტროლ ქვეშ მყოფ პირებს, აგრეთვე უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობის წევრებს. თითოეულ მხარესთან არსებულ ურთიერთობებს მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს. უნდა აღინიშნოს რომ კომპანია შექმნილია FINCA Microfinance Holding Company - ის ქვეშ არსებული კომპანიების მომსახურების გასაწევად და მას ძირითადი ურთიერთობა აქვს დაკავშირებულ მხარეებთან.

10. ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები

ვალდებულებები - კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვანი მიმდინარე ვალდებულებები არ ეკისრება

სამართლებრივი დავები - 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რაიმე სამართლებროვ დავაში ჩართული არ არის, ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ დიდი ოდენობით დაურიცხავი ხარჯის გაწევა მოსალოდნელი არ არის. შესაბამისად არ არის შექმნილი რეზერვი ფინანსურ ანგარიშგებაში.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მიხლები რომელთა ინტერპრეტაცია შესაძლებელია სხვადასხვაგვარად. არსებობს საშიშროება საგადასახადო ორგანოების მიერ საქმიანობისას სადავო დასკვნების გაკეთებისა. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს სავარაუდო დარიცხული გადასახადების თანხა 87,523 ლარის ოდენობით რომელიც მაღალი ალბათობით გადასახადელი იქნება 2020 წლის განმავლობაში.

მთავარი ბუღალტერი
/გიორგი სამველიძე /

გ. სამველიძე